პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ბათუმის სამედიცინო აკადემია

2023/24 სასწავლო წელი

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: აჭარა, ქ.ბათუმი, ტბეთის 4

ტელეფონი: 555 23 22 91 ვებ–

გვერდი: www. bmeda.edu.ge

ელ-ფოსტა: bat.medicalacademi@mail.r

საზოგადოებრივი პროფესიული სასწავლებელი, ბათუმის სამედიცინი აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან.

აკადემია ამზადებს პროფესიული განათლების სპეციალისტებს ჯანდაცვის მიმართულებით. არსებობის მანძილზე სასწავლებელი დაამთავრა ასობით ახალგაზრდა სპეციალისტმა, რომლებიც პროფესიის მიხედვით დასაქმებულნი არიან რეგიონის წამყვან სამედიცინო დაწესებეულებებში, მოღვაწეობენ საქართველოსა და მის ფარგლებს.

აკადემიას გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკუთარი სტომატოლოგიური პოლოკლინიკა, ბიბლიოთეკა, კაბინეტ-ლაბორატორიები, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, მემორანდუმები წამყვან სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულბებთან. მჭიდრო კავშირი აქვს დამსაქმებლებთან. აკადემიას ჰყავს წამყვანი პროფესიული მასწავლებლები.

ბათუმის სამედიცინო აკადემია მუდმივად არის სიახლეების ძიებაში და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცესში პროფესიული განათლების რეფორმის მხარდაჭერისთვის 2015 წელს სამედიცინო აკადემიას გადაეცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მადლობის ბარათი.

2016-2019 წლებში ტურიზმისა და სამედიცინო აღჭურვილობების საერთაშორისო გამოფენების ეგიდით გამართულ კონფერენციებში მონაწილეობისთვის სასწავლებელს გადაეცა სერთიფიკატები.

აკადემია არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის აქტიური წევრი. 2016 წლის ბრენდირებაში სასწავლებელმა მიიღო უმაღლესი შეფასება და მიენიჭა 5 ვარსკვლავი.

სასწავლებელი ორიენტირებულია ჯანდაცვის მიმართულებით კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებისკენ.

მისია, ხედვა და ღირებულებები

ბათუმის სამედიცინო აკადემიის მისიაა: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეგიონში დანერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის და სხვა პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მათი რეალიზებით უზრუნველყოს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და უწყვეტი განათლების ხელშეწყობით იზრუნოს კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებაზე.

ბათუმის სამედიცინო აკადემიის ხედვაა: რეგიონის შრომის ბაზარზე მუდმივად გვეჭიროს ლიდერის პოზიცია. რაც გამოიხატება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და მათი დასაქმების მუდმივად მზარდ მაჩვენებლებში

ბათუმის სამედიცინო აკადემიის ღირებულებებია:

გუნდური სულისკვეთება, მიზანსწრაფვა, პროფესიონალიზმი და ეთიკურობა.

ხუთი ფაქტი BMA-ს შესახებ

1. BMA- ლიდერია პროფესიულ განათლებაში!
2. BMA-ში პროფესიას პროფესიონალები ასწავლიან!
3. BMA- წარმატებული ბიზნესი იწყება აქ!
4. BMA- ჩვენი ცხოვრების ნაწილია!
5. BMA-გახდით ჩვენი დიდი ოჯახის ახალი წევრი!

რატომ უნდა ისწავლო ბათუმის სამედიცინო აკადემიაში?

გაქვს სურვილი გახდე ლიდერი ?

გსურს საზოგადოებას მოუტანო სიკეთე ?

გსურს გქონდეს საკუთარი ბიზნესი და იყო წარმატებული ადამიანი?

ისწავლე და დასაქმდი!

ჩვენთან მიღებული განათლება დასაქმებისა და წარმატებული მომავლის გარანტიაა!

ისწავლე და დასაქმდი!

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო), Pharmac

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება / Nursing

რატომ უნდა ავირჩიო ბათუმის სამედიცინო აკადემია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია (საათიაქო)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო)-ს მიზანია შემუშავებულ იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას, ფარმაცევტული საქმიანობა პაციენტზეა ორიენტირებული. მისი მთავარი მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტური, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით.

ფარმაცია, როგორც დარგი სწრაფად ვითარდება. დღეს როგორც მსოფლიო, ასევე ქართული ფარმაცევტული ბაზარი მრავალრიცხოვანი სამკურნალო საშუალებებითაა წარმოდგენილი. კვალიფიციური სამედიცინო დახმარების თანმდევი უნდა იყოს შესაბამისი ფარმაცევტული დახმარება და რაციონალური ფარმაკოთერაპია, რაც შეუძლებელია კვალიფიციური ფარმაცევტული კადრების გარეშე.

ფარმაცია ემსახურება ჯანმრთელობის დაცვას. მისი ძირითადი პროდუქტი წამალია. წამალი განსხვავებული პროდუქტია ნებისმიერი სხვა სახის პროდუქტისაგან, წამალი მხოლოდ სპეციალისტის ხელშია ეფექტური და უვნებელი, სხვა შემთხვევაში კი იგი ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. დღეისათვის, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფარმაცევტული დაწესებულებების (აფთიაქი, ფარმაცევტული საწარმო და ა.შ.) რიცხვი ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან, გაიზარდა მოთხოვნა ფარმაცევტულ კადრებზეც. ბათუმის სამედიცინო აკადემიას აქვს დიდი გამოცდილება,ტრადიციები,შესაბამისი ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -ფარმაცია(სააფთიაქო) -ს სპეციალობით.შრომის ბაზრის შესწავლამ და დამსაქმებელთა ჩართულობამ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა დამატებაში დიდი როლი ითამაშა.

ყოველივე ამის დასტურია ფარმაცევტული კომპანიების მზაობა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ახალგაზრდა დამწყებ კადრებსა და გამოცდილ პროფესიონალებს ისინი სთავაზობენ დასაქმების ფართო შესაძლებლობებს.კომპანიების ძლიერი და პროფესიონალური გუნდი, სამუშაო ატმოსფეროდა კორპორატიული კულტურა იძლევა საშუალებას საუკეთესო სამუშაო გამოცდილებისა და აღრმავებს ,როგორც პროფესიულ ცოდნას,ასევე სამუშაო უნარ-ჩვევებს. აფთიაქიდან გარდა სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და ფარმაცევტული პროდუქტისა, მომხმარებელმა უნდა წაიღოს იმედი და პოზიტივი. აქ ყველა წვრილმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ აფთიაქის ნებისმიერი თანამშრომელი უნდა იდგეს პროფესიული განვითარების უმაღლეს დონეზე. დღეს, როცა აფთიაქში – წამლისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის ასორტიმენტი დღითიდღე იზრდება აფთიაქის თანამშრომელს არ აქვს მოდუნების უფლება, ის ყოველდღიურად უნდა უნდა იღრმავებდეს ცოდნის დონეს. ზუსტად უნდა იცოდეს რას სთავაზობს, როდის რა უნდა შესთავაზოს და როგორ უნდა შესთავაზოს,რომ მომხმარებელთან ურთიერთობის დროს მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და დამაჯერებელი.

აფთიაქის პერსონალს უნდა უყვარდეს ადამიანები და მათთან ურთიერთობა ანიჭებდეს კმაყოფილებას; თავისი თეორიული ცოდნა და დაგროვილი პრაქტიკა უნდა გამოიყენოს მომხმარებლის სასარგებლოდ; ყოველთვის უნდა იცავდეს მომხმარებლის უფლებებს ; ახსოვდეს –

აფთიაქის მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია ; თავის საქმიანობაში იყოს სანდო და საიმედო; აფთიაქის მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის !!!

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო)-ს მოვალეობაა ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის გაცემის პროცესში მონაწილეობა, ნაშთების პერიოდული კონტროლი, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოება და რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადება.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

1.შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
2.დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
3.შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
4.განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
5.ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
6.განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება
7.მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
8.გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
9.განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
10.განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
11.განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
12.დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

პროგრამის ხელმძღვანელი-პროფესიული განათლების მასწავლებელი- მარინე კვირიკაძე-გურგენიძე

აღწერილობა:

ფარმაცია (სააფთიაქო)

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy

2. დამტკიცების/ცვლილების თარიღი: 22.02.2019; 16.04.2019; 19.02.2020; 19.04.2021; 25.06.2021; 29.10.2021; 13.12.2021

3. სარეგისტრაციო ნომერი 09110-პ

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy
აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია", კოდი 0916, აღმწერი - ,,შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას."

5. მიზანი

პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდას, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღებას და განთავსებას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, მცირე შეფუთვებად მზა სამკურნალწამლო ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალების მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

6. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

7. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 46.46, 46.46.0, 47.73, 47.73.0, 82.92.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდები: 2262, 3213

8. სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს/ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. პირმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

პროგრამა ასევე, ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით.

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
4. განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
5. ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
6. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
7. მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;
8. გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
10. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
11. განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;
12. დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

10. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

მოდულების

1.„მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“,
2. „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“,
3.„მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“,
4. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“,
5.„მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“,
6.„მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“,
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“ პრაქტიკული ნაწილი აუცილებლად უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში - აფთიაქში (საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე. ასევე, მოდულის
8. „სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ სწავლის შედეგი „სანიტარიულ - ჰიგიენური წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ აუცილებლად უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში - აფთიაქში (საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე.

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განვითარებული შეფასება მოიცავს მიმდინარე და შუალედურ შეფასებას.

შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფაების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლების შედეგებს,.

შუალედეური შეფასება სავალდებულოა .

შუალედეური შეფასების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული (დადასტურდა/ ვერ დადასტურდა) შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირმს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები;

მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

12. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირმა სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები[1]

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები[2]
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

პროფესიული სტანდარტი:

- ფარმაცევტის თანაშემწე

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.);
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO);
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატოტი (ISCED);
- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლოს 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივა პროფესი ებში კვალიფიკაციების რეგულირებასთან დაკავშირებით;
- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2013 წლოს 20 ნოემბრის 2013/55 დირექტივა, პროფესიებში კვალიფიკაციების რეგულირებასთან დაკავშირებით 2005/36 დირექტივის ცვლილება.

ისწავლე და დასაქმდი!
რატომ უნდა ავირჩიო ბათუმის სამედიცინო აკადემია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-საექთნო განათლება?

ექთანი და ექთნის თანაშემწე დიდ როლს ასრულებს ადამიანის გამოჯანმრთელების პროცესში. მაგრამ ამავე დროს ეს პროფესია მათ აკისრებთ დიდ პასუხისმგებლობასაც, რადგან ექთნის საქმიანობაში დაუშვებელია შეცდომის დაშვება, არასწორი მოქმედება. საქმე ხომ ადამიანის სიცოცხლეს ეხება.

საექთნო განათლება მოიცავს დამოუკიდებელ ან ჯგუფურ საქმიანობას, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ცალკეული ინდივიდების, ოჯახების, მოსახლეობის ჯგუფების ან თემის ჯანმრთელობის აღდგენა და შენარჩუნებას, დაავადებათა პროფილაქტიკას, ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთა და ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა მოვლას.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია, რომ ექთნები ასრულებენ გადამწყვეტ და ყველაზე ხარჯთ-ეფექტურ როლს სიკვდილიანობის, ავადობისა და უნარშეზღუდულობის შემცირებასა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

ექთანს მოეთხოვება განავითაროს და განახორციელოს ჯანმრთელობის ხელშემწყობი და დაავადების თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

საექთნო განათლება ასევე გულისხმობს დაავადების ან რეაბილიტაციის პროცესში მოვლის დაგეგმვასა და განხორციელებას ფიზიკური, მენტალური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით.საექთნო საქმე ხელს უწყობს პიროვნების, მისი ოჯახის, მეგობრების, სოციალური ჯგუფებისა და თემის აქტიურ ჩართვას ჯანდაცვის ყველა ასპექტში, რითაც ხელს უწყობს პიროვნული პასუხისმგებლობის ამაღლებას და ჯანმრთელი გარემოს ხელშეწყობას.

საექთნო განათლება არის მეცნიერება და ხელოვნება ერთდროულად. ის მოითხოვს სპეციალურ ცოდნისა და ჩვევების ფლობა-გამოყენებას, მაგრამ ამავე დროს ემყარება კაცობრიობის მიღწევებს ფიზიკურ, სოციალურ, სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებებში.

ბათუმის სამედიცინო აკადემიას აქვს დიდი გამოცდილება,ტრადიციები,შესაბამისი ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლების სპეციალობით.

რეგიონის სამედიცინო დაწესებულებები სამედიცინო ბაზარზე მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისით,სტაბილური ფასებით და თანამედროვე ტექნოლოგიური ბაზებით გამოირჩევიან.

შრომის ბაზრის შესწავლამ და დამსაქმებელთა ჩართულობამ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა დამატებაში დიდი როლი ითამაშა.

ყოველივე ამის დასტურია სამედიცინო დაწესებულების ,,მედცენტრი-ს“ მზაობა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულება.

ახალგაზრდა დამწყებ კადრებსა და გამოცდილ პროფესიონალებს ისინი სთავაზობენ დასაქმების ფართო შესაძლებლობებს,როგორც კლინიკური,ასევე ადმინისტრაციული მიმართულებით.

კომპანიის ძლიერი და პროფესიონალური გუნდი, სამუშაო ატმოსფერო და კორპორატიული კულტურა იძლევა საშუალებას საუკეთესო სამუშაო გამოცდილებისა და აღრმავებს ,როგორც პროფესიულ ცოდნას,ასევე სამუშაო უნარ-ჩვევებს.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთვრებულს შეეძლება:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

პროგრამის ხელმძღვანელი(ებ) ი-პროფესიული განათლების მასწავლებელი- მანანა ჯაშიაშვილი.

აღწერილობა: საექთნო განათლება

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე-

საექთნო განათლება/Nursing

2. სარეგისტრაციო ნომერი 09109-პ

3. მისანიჭებელი კვალიფიკაციაქართულ და ინგლისურ ენაზე: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნოსაქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing.აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს- „საექთნო და სამეანო საქმე“, კოდი 0913, აღმწერი -“შეისწავლის ავადმყოფი,სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს

პაციენტების ჯანმრთელობის შენაჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე

შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომპერიოდში. ისასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებასმეძუძურიდედებისთვის.”

4. მიზანი

პროგრამის მიზანია,უზრუნველყოსადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი,ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადიგანათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:-საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

7.სტრუქტურა და მოდულები

საექთნო განათლებლის პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის.

პროგრამა შედგება შემდეგი სახის მოდულებისგან:

- ზოგადი მოდულები - 9კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება -90 კრედიტი

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 180 კრედიტი
- სავარაუდოხანგრძლივობა:123 სასწავლოკვირა

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 210კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 143 სასწავლოკვირა

სწავლის შედეგები:

კურსდამთვრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა

8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა

9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა

10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა

11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისადა მოვლის ხარისხის შეფასება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები, რეკომენდაციის სახით, მოცემულია მოდულებში.

10. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭიროა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე,

რომელიც შესაძლებელია:

- წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
- არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასაქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელიშეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპებისგამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია ;უცხო ენაზე კომუნიკაცია ; მათემატიკური კომპეტენცია ;

ციფრული კომპეტენცია ;დამოუკიდებლად სწავლის უნარი ; პიროვნებათშორისი , კულტურათაშორისი , სოციალურიდა მოქალაქეობრივი კომპეტენციები ; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების

ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორადგამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი

აღნიშნული წესი შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

შპს,,ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს შპს. ბათუმის სამედიცინო აკადემიის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს.

შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში მოდულური პროგრამების კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება ამ დოკუმენტით, აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

- აკადემია -შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია
- მარეგულირებელი დებულება-საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა დასასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.
- მოდული – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.
- კომპეტენცია – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა.
- სწავლის შედეგი – განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ.
- ვერიფიკაცია - შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ პროფესიულ პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

2.შეფასების ინსტრუმეტის შერჩევა

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

2. შეფასების პრინციპები

შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ვალიდუობას
- სანდოობას;
- გამჭვირვალობა;
- სამართლიანობას;
- ობიექტურობას.

ვალიდურობა- ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი. შეფასება ვალიდურია, როდესაც:

- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;
- ✓ შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.
- ✓ საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

- სანდოობა

სანდოა შეფასება თუ:

- ✓ შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიულისტუდენტის სწავლის შედეგებს;
- ✓ გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- ✓ ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- ✓ ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.
- ✓ ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა.

- ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.

- ✓ მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერითი/ზეპირიგამოკითხვის,პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვისმეთოდით, პრინციპი უნდაიყოს ერთგვაროვანი.
- ✓ შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი.თუმცა, სიმარტივე უნდაგამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმესუგულებელყოფას.

4. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება

მოდულურ პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შემდეგს:

- ✓ პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- ✓ მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევიყველა სწავლის შედეგი.

- ✓ სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ პროფესიული სტუდენტი (შესაფასებელი პირი)დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
- ✓ შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებაარსებობს:

- განმავითარებელი
- განმსაზღვრელი.

- ✓ განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
- ✓ განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორიტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა;
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

6. შეფასების ინსტრუმენტები

- ✓ შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს(პირებს)
- ✓ შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას

7. შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები

(შიდა ვერიფიკაცია და ვალიდაცია)

- ✓ აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს.
- ✓ ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციისგანხორციელებისათვის აკადემიის დირექტორის ინდივიდუალურიადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი,რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი /კომპეტენციის მქონე პირები.
- ✓ ვერიფიკაციის პროცესი რეგულირდება აკადემიის მიერ შემუშავებული შეფასების შიდა ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის სახელმძღვანელო დამტკიცებულია ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის 2020 წ. 24.10 N01-05 ბრძანებით.
- ✓ უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები მთლიანად უნდა შეფასდეს და მოხდეს შესაბამისი რეაგირება
- ✓ ვალიდაციას ახორციელებს აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული- სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.
- ✓ შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალიდაციის ჯგუფს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.
- ✓ ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით.

- ✓ ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებითუბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.
- ✓ შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, რომელზეც მითითებული უნდა იყოს „გავლილია ვალიდაცია“ შესაბამისი თარიღის მითითებით.

8. სწავლის შედეგის დადასტურება

- ✓ შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგებისდოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. პროფესიული განათლების მასწავლებელი/შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, სტუდენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით) და შეფასების შემდეგ გადასცეს აკადემიის მეცადინეობების მარეგულირებელს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში განსათავსებლად.

9. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება

მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით

- ✓ შედეგების შეფასების შემდეგ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა).
- ✓ უკუკავშირის დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემები
- ✓ დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი გასაჯაროვება , თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით)
- ✓ ასეთ შემთხვევაში შედეგის განხილვა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად.

10. აპელაციის წესი

- ✓ შეფასების შედეგის გასაჩივრების საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს სააპელაციო კომისიას.
- ✓ სააპელაციო კომისია იქმნება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- ✓ საჩივრის განხილვა მოხდება სტუდენტის მიერ წერილობით წარმოდგენილი შეტყობინების საქმის წარმოების სამსახურში რეგისტრაციიდან 3 დღის განმავლობაში.
- ✓ სააპელაციო კომისია თავის მუშაობას უზრუნველყოფს სამართლიანობის და გამჭირვალობის პრინციპის დაცვით.

11. განმეორებითი შეფასება

- ✓ განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 24) განსაზღვრული წესის შესაბამისად:
- ✓ მოდულის სწავლისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება არაუგვიანეს 7 დღისა.
- ✓ განმეორებითი შეფასების დროს (წერლობით ან დახურული ტიპის კითხვების შემთხვევაში) უნდა მოხდეს ინსტრუმენტის შეცვლა.
- ✓ დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, იმ მოდულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სხვა მოდულის

შესწავლის წინაპირობას პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე, აკადემიის მიერ დადგენილი ტარიფის გადახდის შემდეგ.

12. მოთხოვნები მტკიცებულების მოპოვებისა და შენახვის წესი მიმართ

- ✓ შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან.
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუარა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანმიმდევრულად შესრულება. მნიშვნელოვანია, რომშეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაცით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.
- ✓ მტკიცებულების საკმარისობა – მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.
- ✓ მტკიცებულების ვალიდურობა – ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაცუნდა შეფასებულიყო.
- ✓ მტკიცებულების ავთენტურობა–მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულიაშესაფასებელი პირის მიერ.
- ✓ მტკიცებულების ტრანსფერულობა – მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზეშეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას შეძლებს იმავე კრიტერიუმების შესაბამისად, არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაოგარემოშიც.
- ✓ შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერსწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ელექქტრონული სახით არსებულ დადასტურებას.
- ✓ შესრულებისმტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს.
- ✓ შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირებისსაშუალებას.
- ✓ პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება შესაბამისი უწყისით.
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს გადასცემს აკადემიის სასწავლოპროცესის მარეგულირებელს სათანადო აღრიცხვის მიზნით.
- ✓ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები აკადემიაში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3(სამი) წლის ვადით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები,რომლის დამატებას გეგმავს ბათუმის სამედიცნო აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კბილის სატექნიკო საქმე/Dental technician case

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კბილის სატექნიკო საქმე

რატომ უნდა ავირჩიო ბათუმის სამედიცინო აკადემია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- კბილის სატექნიკო საქმე

ბათუმის სამედიცინო აკადემია პროფესიული განათლების ერთერთი წარმატებული სასწავლებელია რეგიონში.

სასწავლებლის ზრუნვის საგანია ადგილობრივი და ახლომდებარე რეგიონების სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიცემა და დასაქმების ხელშეწყობა,მრავაფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფა.

ყველა ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის სამედიცინო აკადემიას სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,, დენტალური საქმე / Dental Studies ''-ს კონცენტრაციას: კბილის სატექნიკო საქმე

შეიძლება ითქვას რომ პროგრამის მიზანი:უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კბილის სატექნიკო საქმის კონკურენტუნარიან კადრებს,სრულ შესაბამისობაშია სასწავლებლის მისიასთან და საგანმანათლებლო პროფილთან.

ბათუმის სამედიცინო აკადემია 1996 წლიდან 2018 წლამდე ახორციელებდა კბილის სატექნიკო მიმართულებით სპეციალისტების მომზადებას. რომელიც იყო საგნობრივი პროგრამა და მილევადი რეჟიმით 2018 წელს გაუქმდა. ბოლო 5 წელი აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიმართულებით აჭარა-გურიის რეგიონში ადგილი აქვს გარკვეულ წყვეტილობას.

ორთოპედიული სტომატოლოგიის დარგი სწრაფად განვითარდა, გაიზარდა შრომის ბაზარზე მოთხოვნა კვალიფიციურ, თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე და საჭირო უნარჩვევების მქონე სპეციალსტებზე . აღნიშნულ მდგომარეობა დასტურდება ბათუმის სამედიცინო აკადემიის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევით,კერძოდ:

დანტერესებულ პირთა კვლევაში მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგის ხუთეული შემდეგნარად გადანაწილდა:

1. ფარმაცია (სააფთიაქო) 48%
2. საექთნო განათლება 43%
3. კბილს სატექნიკო საქმე 42%
4. ბაგა ბაღის ამღზრდელი 40%
5. ვეტერნარია 37%

მეტად საყურადღებოა ქალაქში წამყვანი ლაბორატორებისა და პოლიკლინიკების მენეჯერების გამოხმაურებები:

- ,,კბილის ტექნკოსის სამუშაო არ არის იოლი. თანამედროვე სტომატოლოგია კბილის ტექნიკოსებისაგან მოითხოვს რთულ ციფრული ტექნოლოგების ფლობას.'' ,, არის საჭიროება საქმეში ჩაერთონ თანამედროვე პროგრამით მომზადებული, სიახლეებს მცოდნე კბლის ტექნიკოსები. სამედიცინო აკადემიის მიზანი, განახორციელოს ,, კბლის სატექნკო საქმე'', დაგვეხმარება ჩვენი დარგი შეივსოს ბევრად კვალიფიციური კადრებით.''

გოდერძი ნაკაშიძე

შპს ,, ინოვაცური სტომატოლოგსა და ზოგადი მედიცინის ცენტრი როგო''-ს დირექტორი

- ,, მხარდასაჭერია ბათუმის სამედიცინო აკადემიის განზრახვა დაიმატოს ახალი პსპ ,,დენტალური საქმე/ კბილის სატექნიკო საქმე'' ჩვენთან აღნიშნულ საქმეში წარმოქმნილა პრობლემები. დღეს დიდად წავიდა წინ დენტალურ საქმე, მისი ტექნოლოგიური პროცესი. დარგის განვითარებსათვის სავალდებულო გახდა სიახლეების ცოდნა.'' ,,კადემიის მიზანდასახულობა განახორციელოს ,, კბილს სატექნიკო საქმე''პსპ, დაგვეხმარება ჩვენი დარგი შეივსოს ბევრად კვალიფიციური სპეციალსტებით, რომლებიც უპასუხებენ დროის გამოწვევებს''.

კბილის სატექნიკო ლაბორატორიის ,,ტექნკა გრუპს''-ის დირექტორი

გიორგი ბორჩხაძე.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის სამედიცინო აკადემიის სატექნიკო საქმის მიმართულებით აქვს პროგრამის განხორციელების დიდი გამოცდილება.

კოლეჯის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებითაა დასაქმებული თავისი სპეციალობებით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლ გარემოებათა გათვალისწნებით მიზანშეწონლად მიგვაჩნია ბათუმის სამედიცინო აკადემიამ დაიმატოს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა დენტალური საქმის ერთ-ერთი კონცეტრაცია ,,კბილის სატექნიკო საქმე'' პროგრამა.

ახალგაზრდა დამწყებ კადრებსა და გამოცდილ პროფესიონალებს ისინი სთავაზობენ დასაქმების ფართო შესაძლებლობებს. ძლიერი და პროფესიონალური გუნდი, სამუშაო ატმოსფერო და კორპორატიული კულტურა იძლევა საშუალებას საუკეთესო სამუშაო გამოცდილებისა და აღრმავებს ,როგორც პროფესიულ ცოდნას,ასევე სამუშაო უნარ-ჩვევებს.

ამ კვალიფიკაციის - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში / ,,Secondary Vocational Qualification in Dental Studies ''მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის ტექნიკოსად კბილის სატექნიკო კაბინეტში, კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში,ხოლო პროგრამის დამთავრების შემდეგ მათ შეეძლებათ :

- დაგეგმოს სატექნიკო ლაბორატორიის მოწყობა

- შეამოწმოს აპარატურის გამართულობა
- გააკეთოს არჩევანი კონკრეტული კლინიკური სიტუაციის მიხედვით ოკლუდატორსა და არტიკურატორს შორის
- ჩაათაბაშიროს მოდელის ოკლუდატორსა ან არტიკულატორში
- ჩამოასხას მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად თაბაშირის საორიენტაციო მოდელები
- მონიშნოს საზღვრები მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად თაბაშირის საორიენტაციო ჩამოსხმულ მოდელებზე
- გადააკრას საორიენტაციო მოდელზე ცვილის ფირფიტა
- დაამზადოს არჩეული მასალით ინდივიდუალური კოვზი
- დაამზადოს ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზებისთვის სამუშაო მოდელი
- დააფიქსიროს კლამერი ბაზისში
- შეარჩიოს/დააფიქსიროს ხელოვნური კბილები
- მოახდინოს მოდელებზე საყრდენი კბილების გრავირება
- დაამზადოს დასაშლელი კომბინირებული თაბაშირის მოდელი
- შეაფასოს თვისობრივად ექიმის მიერ მოწოდებული ანაბეჭდი.

პროგრამის ხელმძღვანელი-პროფესიული განათლების მასწავლებელი- სოფიო ჯინჭარაძე

აღწერა

კბილის სატექნიკო საქმე/Dental technician case

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე- კბილის სატექნიკო საქმე/Dental technician case
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი,რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: 09110 - პ

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში / Secondary Vocational Qualification in Dental Studies
აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - დენტალური მედიცინა, კოდი 0911, აღმწერი - ,,დენტალური მედიცინა - კონცენტრაციით კბილის სატექნიკო საქმე შეისწავლის კბილის პროტეზებისა და ორთოდონტული მოწყობილობის შემუშავებას, გაკეთებასა და შეკეთებას.

4. მიზანი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კბილის სატექნიკო საქმის კონკურენტუნარიანი კადრები.
5. დაშვების წინაპირობა -სრული ზოგადი განათლება
6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები
დენტალური საქმის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის ტექნიკოსად კბილის სატექნიკო კაბინეტში, კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.23, 86.9, 86.90, 86.90.0.

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3251

7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე“ შედგება

ა) 5 ზოგადი სავალდებულო მოდულისაგან, ჯამში 15 კრედიტის მოცულობით:

ბ) 21 სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულისაგან, ჯამში 70 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- მოცულობა: 85 კრედიტი
- ხანგრძლივობა: 66 სასწავლო კვირა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- მოცულობა: 115 კრედიტი
- ხანგრძლივობა: 92 სასწავლო კვირა

მოდულების „ქართული ენაA2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც მოიპოვეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს სატექნიკო ლაბორატორიის მოწყობა
2. შეამოწმოს აპარატურის გამართულობა
3. გააკეთოს არჩევანი კონკრეტული კლინიკური სიტუაციის მიხედვით ოკლუდატორსა და არტიკურატორს შორის
4. ჩაათაბაშიროს მოდელის ოკლუდატორსა ან არტიკულატორში
5. ჩამოასხას მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად თაბაშირის საორიენტაციო მოდელები
6. მონიშნოს საზღვრები მთლიანი მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად თაბაშირის საორიენტაციო ჩამოსხმულ მოდელებზე
7. გადააკრას საორიენტაციო მოდელზე ცვილის ფირფიტა
8. დაამზადოს არჩეული მასალით ინდივიდუალური კოვზი
9. დაამზადოს ნაწილობრივი ფირფიტოვანი პროთეზებისთვის სამუშაო მოდელი
10. დააფიქსიროს კლამერი ბაზისში
11. შეარჩიოს/დააფიქსიროს ხელოვნური კბილები
12. მოახდინოს მოდელებზე საყრდენი კბილების გრავირება
13. დაამზადოს დასაშლელი კომბინირებული თაბაშირის მოდელი
14. შეაფასოს თვისობრივად ექიმის მიერ მოწოდებული ანაბეჭდი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ბათუმის სამედიცინო აკადემიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის "დენტალური საქმე " საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კბილის სატექნიკო საქმე".

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განვითარებული შეფასება მოიცავს მიმდინარე და შუალედურ შეფასებას.

შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფაების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლების შედეგებს,.

შუალედეური შეფასება სავალდებულოა .

შუალედეური შეფასების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული (დადასტურდა/ ვერ დადასტურდა) შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირმს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11.პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ბათუმის სამედიცინო აკადემიის პრეროგატივაა. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს შუალედური გამოცდა.

საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში

მოდულების, ქართული ენა A2 დაქართული ენა B1 გავლა სავალდებულო ა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც ვერ დაადასტურეს ქართული ენის ცოდნა პროგრამაზე შერჩევის პროცესში. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

2022 წლიდან აკადემიამ დაიწყო პროფესიული

განათლების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება

„გერიატრიული ასისტენტი“

პროფესიული მომზადების პროგრამა

პროფესიული მომზადების პროგრამის ,,გერიატრიული ასისტენტი“ მიზანია მსმენელმა შეიძინოს გერიატრიული ასაკის პირის მოვლის საჭიროებებზე მორგებული ცოდნა და უნარჩვევები, რაც ითვალისწინებს: მოვლას დაავადებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეფექტურ კომუნიკაციას, მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას, კვებას, ჰიგიენის მოწესრიგებას, ჩაცმა/გახდას, საწოლის გამზადებას, საწოლისა და პირადი თეთრეულის გამოცვლას, დახმარება მოძრაობის დროს; პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვას , მისთვის მოსახერხებელი გარემოს შექმნას, ტრანსპორტირებას, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვას. კურსის დასრულების შემდგომ პირი შეიძლება დასაქმდეს: მომვლელად ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, სათემო ან საოჯახო ტიპის მომსახურება, დღის ცენტრი).

„გერიატრიული ასისტენტი“ პროფესიული მომზადების პროგრამა განკუთვნილია 18 წლის ასაკდან იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ სრული ზოგადი განათლება და აქვთ სურვილი შეიძინონ გერიატრიული პაციენტის საჭიროებებზე მორგებული ცოდნა და უნარჩვევები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 8 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 160 საათს. სასწავლო პროცესის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები წარიმართება ბათუმის სამედიცინო აკადემიის ბაზაზე (მის; ბათუმი, ტბეთის 4) ასევე, თეორიული კომპონენტის სწავლება შესაძლებელია დისტანციურად, ZOOM-ის ელექტრონულ პლატფორმაზე, პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული იქნება მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი-მედცენტრი. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-8 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება თეორიული ცოდნის შემოწმებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სერტიფიკატის დანართს.

პარტნიორები

ბათუმის სამედიცინო აკადემია დაინტერესებულ ახალგაზრდებს დასაქმებისა და კარიერის შექმნის უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს. ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებლით... ,,მედცენტრი“ წარმოადგენს მაღალტექნოლოგიურ, მრავალპროფილურ სამკურნალო-დიაგნოსტიკურ სამედიცინო დაწესებულებას. ჰოსპიტალში დანერგილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დიაგნოსტიკური კვლევები,რაც ძალზე მნიშვნელოვანია სამედიცინო სფეროში,ყოველივე ეს კი მოსახლეობას საშუალებას აძლევს ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურება.

140 საწოლზე გათვლილ ჰოსპიტალში 15-მდე ძირითადი მიმართულებაა და თითოეული მიმართულება მაღალტექნოლოგიური აპარატით არის აღჭურვილი. წელსვე, ჰოსპიტალის მომსახურებებს დაემატა - გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ინტერვენციული კარდიოლოგიის მიმართულება. სრულად განახლდა დიაგნოსტიკური რგოლი.

,,მედცენტრი“ არის დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ჰოსპიტალი, რომელსაც ყველა სამედიცინო მომსახურება ერთ სივრცეში აქვს გაერთიანებული.

აი ჩვენი კურსდამთავრებულებიც:

- ელიზავეტა კალანდაძე, ანა ბაგდასაროვა (საოპერაციო ბლოკი);
- ცირა ცეცხლაძე, ნანი ქამაშიძე, ანა სურმანიძე (ნევროლოგიური განყოფილება);
- მარინა ხაჩატრიანი, მარიამ ასამბაძე, ანა გოგელია (ქირურგიული განყოფილება);
- თამუნა ბერიძე, მარიამ ძნელაძე, დიანა აბულაძე (ემერჯენსი);
- ქეთევან ბერიძე, ჯულიეტა ურუშაძე (ენდოკრინოლოგიური განყოფილება);
- ილონა მჟავანაძე, თეონა სოლომონიძე(ექოსკოპიის კაბინეტი)
- ლიკა ცენტერაძე (გინეკოლოგიური განყოფილება);
- თეონა ჭაღალიძე (განაყოფიერების განყოფილება);
- ჯილდა კონცელიძე (რადიოლოგიური განყოფილება);
- სოფიკო ვანაძე, ირინა ლორთქიფანიძე (თერაპიული განყოფილება)
- ლია კახიძე, თეონა ოსანაძე, თამუნა ტაკიძე (რეამინაციული განყოფილება);
- საიდა კაიტამბა, თამთა გოგია(კარდიოლოგიური განყოფილება)

ჩვენი

პარტნიორი ორგანიზაციები და დამსაქმებლები:

- აიპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია
- შ.პ.ს. „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“ -ბათუმი, პუშკინის 118
- სს. სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი - ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი
- შპს ,,ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"მის: ტბელ აბუსერიძის ქ.#2
- ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“
- სს. სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი - ქ.ბათუმი, ბაგრატიონის 125
- შ.პ.ს. „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ - ქ.ბათუმი, კახაბრის 36
- შ.პ.ს. „ბათუმის მრავალპროფილიანი სამშობიაო სახლი“ -ქ.ბათუმი, რუსთაველის 39
- შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯამრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ - ბათუმის ნარკოლოგიური ცენტრი- მის: ქ. ბათუმი, ნიკო ჯაყელის N44.
- კომპანია სს „გეფა“თბილისი. ა.ბელიაშვილის 142
- შ.პ.ს. „გვირილა 2“ – ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ.

58.

- შ.პ.ს. „ვიტა–ფარმა“ – ქ.ბათუმი, ბარათაშვილის ქ. 14.
- შ.პ.ს. „აფთიაქი მეგაფარმი“ – ბათუმი, პუშკინის ქ. 118.
- შ.პ.ს. „ჰეკატე“ – ბათუმი, მელიქიშვილის 24.
- შ.პ.ს. „ბაკურიძე და კომპანია“ - ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის 45.
- შ.პ.ს. „იმპექსფარმი “ - ქ.თბილისი, მტკვრისმარჯვენა სანაპირო ბაქტერიოფაგის მიმდებარე ტერიტორია.
- საქართველოს ექთანთა ასოციაცია.

მადლიერების წერილი

„ბატონო რევაზ, მაქვს პატივი მოგესალმოთ , მოგილოცოთ გასული ბრწყინვალე დღესასწაულები და გისურვოთ მშვიდობიანი წელი.
წარმატებულ ფარმაცევტს, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი პროფესიის ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროება საკუთარი საქმის სიყვარული, ასევე შრომისმოყვარეობა და სწრაფვა მუდმივი პროფესიული განვითარებისკენ. გარდა ამისა, აუცილებელია, ფლობდეს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა კარგი კომუნიკაცია,
დაძაბულ გრაფიკში მუშაობის უნარი, პასუხისმგებლობის განსაკუთრებით მაღალი გრძნობა, ორგანიზებულობა და სხვა. მაგრამ სირთულეებთან გამკლავებისათვის უმთავრესი მაინც ავადმყოფზე ზრუნვის სურვილია. როცა შენი საქმე გიყვარს, სიძნელეები მინიმალურია!
მომხმარებელთან წარმატებული კომუნიკაციის დამყარება - ეს ფარმაცევტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა. აფთიაქში შემოსულებს უამრავი კითხვის დასმა უყვართ, ხშირად ღელავენ და საჭირო მედიკამენტის მიწოდებამდე აუცილებელი ხდება მათი დამშვიდება. ამიტომაც, ფარმაცევტს მომხმარებელთან ურთიერთობისას სამედიცინო საქმიანობასთან ერთად მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებაც უწევს. საბედნიეროდ,მომხმარებელთა საერთო დამოკიდებულება ფარმაცევტების მიმართ უმეტეს შემთხვევაში დადებითია - გამოთქვამენ კმაყოფილებასა და მადლიერებას გაწეული დახმარებისათვის. თუმცა, სამწუხაროდ, იშვიათ შემთხვევაში, გვხვდებიან ისეთებიც, რომელთა გულის მოგება საკმაოდ რთულია. მაგრამ ჩვენთვის მთავარი არის მომხმარებლისთვის დახმარების აღმოჩენა და მისი გამოჯანმრთელება, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.
თქვენდამი დაქვემდებარებული აკადემიის ,ფარმაცია (საფთიაქო)“-ს სტუდენტებმა გაგვაოცა . თბილმა და უშუალო დამოკიდებულებამ, პროფესიონალიზმმა დროის მოკლე მონაკვეთში გააკეთა კოლოსალური საქმე. შედეგებმაც არ დააყოვნა, ორ-სამ დღეში ჩვენ ისინი ხელთ გვქონდა, დავასაქმეთ 10 სტუდენტი.
ვიცით, რომ ასეთი კადრების მომზადება დაკავშირებულია დიდ რესურსებსა და ძალისხმევასთან, მით უმეტეს, დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ. თქვენ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი - ახალგაზრდების კეთილდღეობაზე ზრუნვა - სამაგალითოა ყველასთვის და მაჩვენებელია მოყვასის სიყვარულისა და დიდი მამულიშვილობისა.

მე ძალიან ვამაყობ, რომ რამდენიმე წლის წინ მე ამირჩიეთ ,როგორც ერთერთი დამსაქმებელი...როგორც კი მივიღე ეს შეთანხმება მივხვდი, რომ არჩევანში არ ვცდებოდი. მინდა აღვნიშნო თქვენი პროფესიონალური მიდგომა ამ ამოცანის მიმართ,რასაც დასაქმება ჰქვია. როგორც დამსაქმებელი დავაკვირდი თქვენს საქმიანობას და აღვნიშნავ, რომ თქვენი პროფესიული უნარები და შესაძლებლობები დადებითად მოქმედებს ჩვენი მუშაობის ნაყოფიერებაზე. ურთიერთდახმარების სულისკვეთებისა და ჰარმონიული ძალისხმევის წყალობით, ჩემი კომპანია გახდა ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და დასაქმებადი რეგიონში.

დამსაქმებლებს საშუალება მოგვეცა მონაწილეობა მიგვეღო პროფესიული განათლების ციკლის ყველა ეტაპზე – კვალიფიკაციის ფორმირებიდან კვალიფიკაციის მინიჭების ჩათვლით. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული განათლების როლის გაძლიერებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში და სისტემის მიმზიდველობის გაზრდაში.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა პროფესიულ განათლებაში ის არის , რომ სწავლება უნდა შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის საჭიროებებს.

პროფესიული განათლება, როგორც უკვე ავღნიშნე, უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრის, სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა. პროფესიული განათლების პროგრამა სტუდენტს ეხმარება სხვადასხვა გამოწვევის დაძლევაში, შეუქმნას შესაძლებლობები, რათა მან უფრო სწრაფად და წარმატებით შეძლოს პირად, პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება.

პროფესიული განათლება ერთ-ერთი უმოკლესი გზაა ახალგაზრდების დასაქმებისაკენ.

ვიცით, რომ ასეთი კადრების მომზადება დაკავშირებულია დიდ რესურსებსა და ძალისხმევასთან, მით უმეტეს, დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ. თქვენ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი - ახალგაზრდების კეთილდღეობაზე ზრუნვა - სამაგალითოა ყველასთვის და მაჩვენებელია მოყვასის სიყვარულისა და დიდი მამულიშვილობისა.

ჩემი სახელით და მთელი გუნდის სახელით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მოხარული ვართ თქვენთან თანამშრომლობისა.სასიამოვნოა იმის დანახვა, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენს გუნდებს შორის საქმიანი ურთიერთობა დამყარდა.ბაზარზე სასტიკი კონკურენციის პირობებში ჩვენ შევძელით ურთიერთგაგება და მზაობა.

მინდა უკლებლივ მთლიან კოლექტივს მადლობა გადაგიხადოთ დაუღალავი შრომისა და ღვაწლისთვის, ვიცი, თითოეულისთვის როგორი შრომატევადია ეს გამოწვევა. სიახლე, დიახ, გვიყვარს, მაგრამ ასეთ დაძაბულ და სტრესულ გარემოში მუშაობას ვერც კი წარმოვიდგენდით. სტუდენტის იმედი ახლა ჩვენ ვართ. გავამართლოთ მოლოდინი! ეს ის გაკვეთილია, რომელიც ცხოვრების გაკვეთილად გვექცა ყველას.ჩვენს ზარს მოუთმენლად ელოდება ყველა.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ასევე თქვენი აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)-ს ხელმძღვანელს ქ-ნ მზია ბაკურიძესა და არაჩვეულებრივ პედაგოგებს: მარინე კვირიკაძეს, ინგა ვარდიძეს, სოფიო ბრუნჯაძეს,ზაირა ჯაფარიძეს,ირმა ნოზაძეს, ნანა ანანიძეს ,ხათუნა ადეიშვილს რომელთა დაუღალავი შრომის შედეგია ასეთი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

მინდა გაცნობოთ, რომ მე ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი პროფესიონალიზმით და ამოცანებისადმი მიდგომით. აკადემიაში თქვენი მოვალეობები მოითხოვს ძლიერ პიროვნულ თვისებებს და უზარმაზარ ერთგულებას.

კომპანია ,,გოლდფარმი'' იმედოვნებს ბათუმის სამედიცინო აკადემიასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გაგრძელდებას უახლოეს წლებში.

ჩვენ ნამდვილად ვაფასებთ თქვენს ძალისხმევას... გისურვებთ მრავალი ასეთი კარგი კადრების აღზრდას, წარმატებას და ღირსეულ გადახდას თქვენი შრომისმოყვარეობისთვის!

რეგიონში შექმნილ ურთულეს ვითარებაში, დაძაბულ გარემოებებში, კოვიდ პანდემიის წინა ხაზის მეომარი, პირდაპირი, მიზანდასახული, შრომისმოყვარე და გამორჩეულად სამართლიანი,პროფესიონალური სიზუსტით და ასეულობით ადამიანის გამოჯანმრთელებაზე მზრუნველი ფარმაცევტები.
პატივისცემით, მანანა ბაუჟაძე
შპს ,,გოლდფარმი"-ს დირექტორი
27. 01. 2021 წელი

#ჩვენი საამაყო კურსდამთავრებულები#

„ კიდევ ერთი გამოცდილება მივიღე და ცოდნა თქვენი წყალობით კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი, ასე რომ ვთქვათ დამეძლია ის კომპლექსი რაც ყოველთვის მიჭირს, საზოგადოებაში გამოსვლა და საუბარი იმ თემაზე თუ რა უნდა ვისაუბრო.

ძალიან მიჭირს ყოველთვის ასეთი რამის გაკეთება და იშვიათად თუ გამოვსულვარ, ძალიან ვნერვიულობდი ჩემი გამოსვლით და თემის წარსგენისთვის ის, რომ იქ დამსწრე საზოგადოება სხედან ყველა შენ გიყურებს და ყველა შენ გისმენს ჩემთვის ასეთი რამ ძალიან რთულია, (ნუ ასეთი რამ ყოველთვის მაკომპლექსებს)
მაგრამ ეს დავძლია ბევრი ნერვიულობისადა მიუხედავად შევძელი და კიდევ ერთი რამის დაძლევა შემძლებია თურმე.
ეს ყველაფერი კი ამ სასწავლებლის ,ბათუმის სამედიცინო აკადემიის დამსახურებაა და ჩემი ხელმძღვანელის [#მზიაბაკურიძე] დამსახურებაა, რომ ამ ყველაფრის დაძლევა და გამოსვლის საშუალება მომცა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თქვენ

პატივისცემით,

ქეთევან უზუნაძე“

„პროფესიით ბუღალტერი ვარ. სწავლის დასრულების შემდეგ სულ მქონდო შეგრძნება თითქოს რაღაც მაკლდა. ბევრს ვფიქრობდი , მინდოდა ისეთი რამ მესწავლა, რის საშვალებითაც ხალხთან უფრო ახლოს ვიქნებოდი და შევძლებდი მათ მცირედით დახმარებას. ახლობელმა ბათუმის სამედიცინო აკადემია მიმასწავლა. მეორე პროფესიად ფარმაცია შევარჩიე , აკადემიაში თბილი, შრომისმოყვარე კოლექტივი დამხვდა. მათი დახმარებით მივიღე შესაფერისი განათლება. სასწავლო ნაწილის ხელშეწყობით, სწავლასთან ერთად დავიწყე პრაქტიკებზე სიარული ფარმადეპოს ქსელში. მიღებული ცოდნით შევძელი ჩამებარებინა გამოცდები, რათა მოვმხდარიყავი ფარმადეპოში. პრაქტიკებს და სწავლას ერთად გავდიოდი. დღეს დიპლომი ჩემია და სამუშაოც დავიწყე. უკვე

"ფარმაცევტი" მქვია და ვამაყობ იმით , რომ ხალხის სამსახურში ვარ. მადლობას ვუხდი აკადემიის თითოეულ ლექტორს ჩვენში ჩადებული შრომისთვის. დაისახეთ მიზანი და იარეთ მისკენ. ის აუცილებლად ასრულდება“.
ნუნუ კახაძე - საამაყო კურსდამთავრებული

#მადლიერების წერილი ბათუმის სამედიცინო აკადემიას წერილი ბათუმის სამედიცინო აკადემიას#

ორწლიანი დაუღალავი შრომის შედეგი-წარმატებული, ხარისხიანი, მიზანმიმართული ჩემი პატარა კოლეგები... როგორ ჩქარა გაირბინა ორმა წელმა... ადაპტირების, შეგუების, ნდობის, ნერვიულობის, შიშის, სიძნელეების, ამბიციების, ტკივილის, სიხარულის ფონზე...აწ უკვე წარმატებული ,დასაქმებული კურსდამთავრებული-ნათია მსხილაძე- შპს,,ავერსი"-ს ფარმაცევტი ქ.ვანში.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სახელით აკადემიის დირექტორს ბ-ნ რევაზ უზუნაძეს, დირექტორის მოადგილეს ქ-ნ შორენა უზუნაძეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს ქ-ნ მზია ბაკურიძეს, სასწავლო პროცესის მენეჯერს ქ-ნ ინგა შალამბერიძეს,კურსის კურატორს ქ-ნ ნინო უზუნაძეს და ყველა პედაგოგს გაწეული შრომისთვის, რომელიც ჩემს წარმატებულ მომავალს უკავშირდება.თქვენ მასწავლეთ ჩემი პროფესიის სიყვარული,შრომისმოყვარეობა და სწრაფვა მუდმივი პროფესიული განვითარებისთვის.ასევე ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც ყველა ფარმაცევტისთვის მნიშვნელოვანია.

ვიცი, რომ ასეთი კადრების მომზადება დაკავშირებულია დიდ რესურსებსა და ძალისხმევასთან.

ჩვენ, სტუდენტები, ნამდვილად ვაფასებთ თქვენს ძალისხმევას და გაწეულ სამსახურს რომელიც
ჩვენს განათლებას ემსახურება. გისურვებთ მრავალი ასეთი კარგი კადრების აღზრდას და წარმატებას

პატივისცემით,ნათია მსხილაძე

ფარმაცია (სააფთიაქო)-ს 2019/2021 სასწავლოს წლის კურსდამთავრებული.

,, მოგესალმებით , მე ვარ ლანა ბაბუხადია მოკლედ მოგიყვებით ჩემს შესახებ ვარ 21 წლის „ბათუმის სამედიცინო აკადემიის“

კურსდამთავრებული. სწავლა წელს დავამთავრე და მინდა მადლობა გადავუხადო აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალს და თითოეულ პროფესიულ მასწავლებელს. მათგან ვისწავლე შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა და პროფესიის სიყვარული.ნამდვილად საუკეთესო წლები გავატარე აკადემიაში და დამიგროვდა უამრავი კარგი მოგონებები. ასევე ვარ დასაქმებული „ნეოფარმი+“ -ის სააფთიაქო ქსელში ფარმაცევტის პოზიციაზე. პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი როდესაც აფთიაქში მივედი ბევრი შრომა დამჭირდა აქამდე მისასვლელად იყო ბევრი უძილო ღამე კონსპექტებთან ერთად😁 იყო შიშიც მაგრამ მაგრამ მთავარი ხომ ისაა რომ ადგე და საკუთარ თავს და ირგვლივ მყოფებს დაუმტკიცო რომ შენ შეგიძლია ასეთ პატარას მიაღწიო ყველაფერს რადგან წინ დიდი გზაა წარმატებისკენ!! ჩემი მთავარი მიზანია ღირსეულად ვატარო ფარმაცევტის საპატიო წოდება და თეთრი ხალათი მუდამ მახსოვდეს ჩემი მთავარი მოვალეობა- ვიზრუნო ყოველი პაციენტის კეთილდღეობისთვის.და პროფესიის სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე იყოს ჩემი თანამგზავრი.❤️❤️

მადლობა ლანას აკადემიის ადმინისტრაციისა და პროფესიული მასწავლებლების მიმართ გამოხატული მადლიერებისა და თბილი სიტვებისათვის.

ბათუმის სამედიცინო აკადემია ლანას უსურვებს დასახული მიზნების 💯% ასრულებას, წარმატებას პირად ცხოვრებაში და კარიერაში. ❤️

#მადლიერების წერილი , ბათუმის სამედიცინო აკადემიას.#

ჩემო საყვარელო პედაგოგებო! მინდა გამოვხატო მადლიერება თქვენს მიმართ, თქვენი ენერგია, სწავლების მხრივ მრავალფეროვანი მიდგომა, ყურადღება, თანადგომა და რაც მთავარია მაღალი პროფესიონალიზმი,მაძლევს იმის თქმის საშუალებას რომ ვიღებ კარგ პროფესიულ განათლებას, თქვენთან გატარებული ორი წელი ჩემთვის იყო საუკეთესო, მხოლოდ იმისთვის არა რომ თქვენთან მივიღე კარგი პროფესიული განათლება, არამედ იმისთვის რომ ვიყავი ისეთ ადგილას სადაც ყოველთვის გვერდით გიდგანან, სადაც არის მეგობრული გარემო და არაფერია ისეთი რამაც შეიძლება დაგაბრკოლოს. სადაც ვიქნები შემიძლია ამაყად ვთქვა რომ ვიყავი ბათუმის სამედიცინო აკადემიის სტუდენტი, მიხარია რომ მეძლევა იმის საშუალება ვისაუბრო თქვენზე, თქვენს პროფესიონალიზმზე და გუნდურ მუშაობაზე, სასიამოვნოდ გავიხსენებ ყველა იმ პროექტს რომელსაც თქვენთან ერთად ვაკეთებდი, არდავივიწყებ თქვენს წვლილს ჩემს კარიერულ მომავალში და რაც მთავარია აუცილებლად გაგიწევთ რეკომენდაციას მომავალში, თუმცა დარწმუნებული ვარ რომ ეს თქვენ არდაგჭირდებათ, ყოველივე ამისთვის გამოვხატავ თქვენს მიმართ მადლიერებას.!

პატივისცემით ფარმაცია (სააფთიაქო)-ს 2019-2021ს/წლის კურსდამთავრებული თეონა ბერიძე

#წარმატებულიურსდამთავრებული

ბათუმის სამედიცინო აკადემიაში სწავლის დაწყებიდან მალევე სასწავლებელმა საშუალება მომცა თეორიასთან ერთად, გამეღრმავებინა ცოდნა პრაქტიკულ ნაწილში,რისთვისაც ძალიან მადიერი ვარ ჩემი სასწავლებლის, პრაქტიკები დავიწყე მედ-ცენტრში,პრაქტიკებს გავდიოდი და ვმუშაობდი სხვადასხვა განყოფილებებში,სწავლის პერიოდში ვმუშაობდი დამხმარე ექთნად, სწავლის დამთავრებიდან მალევე გადავედი მედდად გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში, შემდგომ დღის მედდად სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტში ვიმუშავე დღეს კი ვმუშაობ უროლოგიურ დეპარტამენტში, ექიმების ასისტენტად . მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ყველა ლექტორს და სამედიცინო აკადემიის მთელ კოლექტივს ჩვენში ჩადებული თითოეული შრომისთვის და წარმატებისთვის.

ანამ გაიარე ექთნების გადამზადების **6** თვიანი კურსი და აიღო სერთიფიკატი**.**

ბათუმის სამედიცინო აკადემიის პრაქტიკოსი ექთანი V საფეხურის კურსდამთავრებული მარიამ ასამბაძე. მარიამი სამედიცინო აკადემიაში სწავლობდა 2017- 2020 წლებში. ის სწავლის პროცეში არჩეული იყო სტუდენტთა გაერთიანების ლიდერად და სწავლის პროცეში ბევრი საინტერესო პროექტის ორგანიზატორი იყო.

მცირე ამონარიდი მასთან ინტერვიურებისას:,,სწავლის პერიოდში დაგროვებულმა ცოდნამ და ამასთანავე პრაქტიკამ დიდი წარმატება მომიტანა ჩემს კარიერაში. სწავლის დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა კლინიკა მედ-ცენტრში,საოპერაციო ბლოკში. პირველ ეტაპზე ვმუშაობდი

საოპერაციო ექთნის დამხმარედ და აკადემიაში შეძენილი ცოდნისა და მონდომების საშუალებით მალევე გადავედი საოპერაციო ექთნად. ვფიქრობ ჩემს ცხოვრებაში ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და ამაში დიდი წვლილი შეიტანა სამედიცინო აკადემიის თითოეულმა პედაგოგმა თავისი ცოდნის გაზიარებით. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თითოეულ პედაგოგს და მთელს კოლექტივს ჩემი და სხვა აკადემიელების განვითარებაში წვლილის შეტანისათვის.”

მარიამ დიმიტრაძე .

მცირე ამონარიდი ინტერვიუდან

მარიამ რატომ აირჩე ეს პროფესია?

- ეს პროფესია ბაუშვობის სურვილი იყო და სურვილიც ამიხდა მონდომებით შრომით და რათქმაუნდა სწავლა განათლებით

აკადემიაში მიღებული ცოდნა დაგეხმარა თუ არა სამსახურის დაწყებაში?

- მიღებული ცოდნით რათქმა უნდა დავიწყე მუშაობა ფარმაცევტად . როგორც წესი ვწერე ფარმაცევტის ტესტები და შემდეგ უკვე დამიკავშირდენ რომ შემეძლო მუშაობის დაწყება უპრობლემოდ.

რა პოზიციაზე ხართ დასაქმებული?

დავსაქმდი ფარმადეპოს ქსელის აქტიური ფარმაცევტად

მადლობა მარიამ , გისურვებ წარმატებებს.

#მადლიერებისწერილი

#მარიამშამილაძე

მარიამმა ბათუმის სამედიცინო აკადემიის სახელით წარსდგა Eqspo med batumi მე -3 საერთაშორისო გამოფენაზე და გადაეცა სერთიფიკატი.

სამედიცინო აკადემიაში სწავლა დავიწყე 2020 წელს , ფარმაციაზე. ვიყავი სტუდენტური გაერთიანების წევრი. აქტიურად ვიყავი ჩართული ღონისძიებებში, კონფრენციებში. წელს დავასრულე სწავლა და მინდა მადლობა გადავუხადო სამედიცინო აკადემიის თითოეულ ლექტორს, მათი დაუღალავი შრომისთვის რომელიც ფუჭად არ ჩაივლის. მადლობა იმისთვის რომ გვაძლევდნენ ჩვენი თავის ბოლომდე წარმოჩენის შესაძლებლობას, სჯეროდათ ჩვენი შესაძლებლობების და არგვაძლევდნენ დანებების საშუალებას. ყოველთვის მჯეროდა რასაც გულით მოისურვებს ადამიანი აუცილებლად მიაღწევს, და რომ შრომა ყოველთვის დაგვიფასდება.ბედნიერი ვარ რომ ბევრი და ძალიან კარგი მოგონებები დამიგროვდა ორი წლის მანძილზე რომელიც მთელი ცხოვრება თან გამყვება, იყო ბევრი ემოცია, სიხარული, ზოგჯერ შიშიც მაგრამ ერთად ყველაფერი გადავლახეთ. რადგან ჩვენი თბილი ლექტორები გვერდით გვედგნენ. და არასდროს არ გვტოვებდნენ უყურადღებოდ. უღრმესი მადლობა აკადემიის დირექტორს მინდა გადავუხადო ბნ რევაზ უზუნაძეს რადგან ყოველთვის ჩვენს გვერდით იყო და მხარში გვედგა . ასევე მთელ კოლექტივს რადგან აქ დავინახე სითბო , სიყვარული და მეგობრობა . სამედიცინო აკადემია ერთი დიდი ოჯახია და ამაყი ვარ რომ აქ ვისწავლე. ჩვენმა ლექტორებმა ნულიდან შეგვასწავლეს და უფრო მეტად შეგვაყვარეს ჩვენი პროფესია. მადლობა ფერადი, ემოციებით დახუნძლული, მოულოდნელობებით, სიურპრიზებით სავსე ორი ბედნიერი წლისთვის. ჩემი მიზანია ღირსეულად ვატარო ფარმაცევტის საპატიო წოდება, და მახსოვდეს ჩემი მოვალეობა ვიზრუნო ყოველი პაციენტის კეთილდღეობისთვის. ❤️❤️❤️

თამარ ბერიძე---ემოციებით და სიხარულით დაწყებული დაძაბული წლების ბედნიერი დასასრული 🙏🎓უკვე დიპლომიანი .შრომას ყოველთვის მოაქვს შედეგი 🙏როგორ ჩქარა გაირბინა წლებმა.. სიძნელეების, ნერვიულობის და სიხარულის ფონზე.... 👩‍🎓 დაუღალავ შრომას ფუჭად არჩაუვლია 🙏💒რთული გზა გავიარეთ მაგრამ პროფესიონალი პროფესიული მასწავლებლების დახმარებით და განსაკუთრებით ადმინისტრაციის გვერდში დგომით

მივაღწიეთ ამ შედეგს ❣️🙏სამედიცინო აკადემია სამედიცინო აკადემია Mzia Bakuridze ძალიან დიდი მადლო თქვენ 😍

მარინა დევაძე- ბათუმის სამედიცინოაკადემიის წარმატებული კურსდამთავრებული

ამონარიდი მისი ინტერვიუდან:

,,ყოველთვის ვოცნებობდი რომ თეთრი ხალათი ჩამეცვა . 1994 წელს დავამთავრე საჯარო სკოლა და ამავე წელს ჩავირიცხე ბათუმის სამედიცინო აკადემიაში და დავამთავრე 1997 წელს. სწავლის პროცესში დავოჯახდი და მიუხედევად ამისა კოლეჯი დავამთავრე წარჩინებით, წითელ დიპლომზე. კარგა ხანს ვერ შევძელი მუშაობა გარკვეული მიზეზების გამო. როცა შესაძლებლობა მომეცა კვლავ დავუბრუნდი ჩემს ოცნებას და 2015 წელს მუშაობა დავიწყე ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში, სადაც აქტიურად ვმონაწილეობდი ევექსის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში. 2016 წელს დავინიშნე ბათუმის მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა და დედათა ცენტრალურ ჰოსპიტალში გადაუდებელი და ამბულატორიული განყოფილების უფროსი მედდის პოზიციაზე , ხოლო 2018 წელს დავინიშნე და დღემდე ვარ ამავე კლინიკის მთავარი მედდა. 2019 წლიდან ასევე აქტიურად ვარ ჩართული ჩემი მშობლიური სამედიცინო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა ,,საექთნო გაათლება'' -ში როგორც პროფესიული მასწავლებელი .''

ქალბატონ მარინას ვუსურვებთ კიდევ მრავალ წარმატებას.

ბათუმის სამედიცინო აკადემია ამაყობს წარმატებული კურსდამთავრებულებით.